ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №4066676

ნომერი: AR1589864

თარიღი : 30.03.2018

გაცემის თარიღი : 12.07.2018

გაცნობის თარიღი : 12.07.2018

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV , კვარტალი I , (შანდორ პეტეფის ქუჩა) ; ქალაქი თბილისი , ვაზისუბანი, ეშბას ქუჩაზე ; ქალაქი თბილისი , მიკრო/რაიონი ვაზისუბანი IV , კვარტალი I , (შანდორ პეტეფის ქუჩა) , (ნაკვ. 31/16);

დამკვეთი-განმცხადებელი
- შოთა ქარდავა პ/ნ 62001008307
- სამგორის დას. 28 ბინ 22

ორგანიზაცია:
- შპს ემ კუბი კოდი: 406195095

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- IV კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24

მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

# ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 7 ივნისის N724570 გადაწყვეტილებით ქალაქ თბილისში, ვაზისუბანში, ეშბას ქუჩაზე მრავალფუნქციური კომპლექსის (ცვლილება 2017 წლის 11 აპრილის №3201989 ბრძანებით) დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე.
აღნიშნულ ბრძანებაში შეტანილ იქნა ცვლილებები 2017 წლის 4 აგვისტოს N3402137 და 2017 წლის 1 ივნისის N3297675 ბრძანებებით.
ამ ეტაპზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2018 წლის 30 მარტის N AR1589864 განცხადებით მომართა შოთა ქარდავამ და მოითხოვა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 7 ივნისის N724570 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა და საკადასტრო კოდის ს/კ N 01.17.07.031.080 და მიწის ნაკვეთის ფართობის 2911 მ$^2$-ის ნაცვლად მიწის ნაკვეთის გამიჯვნის შედეგად ფორმირებული მიწის ნაკვეთის ახალი საკადასტრო კოდის ს/კ N01.17.07.031.082 და მიწის ნაკვეთის ახალი ფართობის 2795 მ$^2$ დაფიქსირება.
წარმოდგენილია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 10 ივლისის N:ბ01.01181918 ბრძანება „ქ. თბილისში, ისნის რაიონში, ვაზისუბნის IV მიკრორაიონი I კვარტალი (შანდორ პეტეფის ქუჩა)/ვაზისუბანი, ეშბას ქუჩაზე არსებული მიწის ნაკვეთებისთვის (საკადასტრო კოდები: 01.17.07.031.073, 01.17.07.031.016) სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემის შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 2 აგვისტოს N1-1745 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ“.
სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.
სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 7 ივნისის N724570 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა. "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 7 ივნისის N724570 გადაწყვეტილებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში, კერძოდ მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი დაფიქსირდეს N01.17.07.031.082, მიწის ნაკვეთის ფართობი დაფიქსირდეს 2795 მ$^2$, ვალდებულების ფართობი 40მ$^2$ და განაშენიანების კოეფიციენტების ანგარიში მოხდეს თანდართული ფუნქციური ზონების და აღნიშნული ზონების ფართობების ამსახველი რუკის შესაბამისად. (იხ. დანართი).
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2017 წლის 4 აგვისტოს N3402137, 2017 წლის 1 ივლისის N3297675 ბრძანებებთან და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის 2018 წლის 10 ივლისის N: ბ01.01181918 ბრძანებასთან ერთად.
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

---

.

დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიისცხ ელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ.#7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე #4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.